საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

თებერვალი, 2019

პუბლიკაცია მომზადებულია მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ.

პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია არ წარმოადგენს ოფიციალურ სტატისტიკას.

შინაარსი

რეალური სექტორი 3

მთლიანი შიდა პროდუქტი 3
ფასების დონე 6
ბიზნეს სექტორი 4
უმუშევრობის დონე 5

საგარეო სექტორი 5

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 5
საგარეო ვალი 7
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 8
საგარეო ვაჭრობა 10
ტურიზმი 12
ფულადი გზავნილები 13
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება 14
გაცვლითი კურსი 15

ფისკალური სექტორი 16

2018 წლის ბიუჯეტი 16
2019 წლის ბიუჯეტის აღწერა 16
ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 17
დღგ-ს ავტომატური დაბრუნების სისტემა 18
მთავრობის ვალი 18

მონეტარული სექტორი 18

კერძო სექტორის დოლარიზაცია 18
სესხების მიმოხილვა 20
დეპოზიტების მიმოხილვა 22
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 23
საპროცენტო განაკვეთები 24
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი 28

რეიტინგები 31

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა 33

მიმდინარე წლის 22 თებერვალს სარეიტინგო სააგენტო FitchRatings-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB-„-დან „BB“ ნიშნულამდე გაზარდა სტაბილური პერსპექტივით (გვ.31);

2018 წელს, ფინანსთა სამინისტროს შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 7,5 პროცენტამდე შემცირდა. მესამე კვარტალში, საქართველოს ისტორიაში პირველად, დაფიქსირდა მიმდინარე ანგარიშის დადებითი ბალანსი (გვ.5);

2018 წელს უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 1,2 პუნქტით შემცირდა და 12,7 პროცენტი შეადგინა (გვ.5);

2018 წლის თებერვალში ამოქმედდა დღგ-ს ავტომატური დაბრუნების სისტემა (გვ.18)

რეალური სექტორი

მთლიანი შიდა პროდუქტი

ეკონომიკური ზრდა

2018 წელი ეკონომიკური აქტივობის მზარდი ტრენდით დაიწყო. პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 5.2 პროცენტი, II კვარტალში - 5.6 პროცენტი, ხოლო III კვარტალში - 3.7 პროცენტი შეადგინა. წინასწარი შეფასებით, IV კვარტლის ეკონომიკური ზრდა 5.6 პროცენტს შეადგენს, ხოლო წლიური ზრდა კი შედეგად 4.8 პროცენტზე ნარჩუნდება. 2019 წლის იანვარში ეკონომიკურმა ზრდამ 3.5 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკური ზრდა (%)



მშპ-ს რეალური ზრდა და დეფლატორი



2018 წლის განმავლობაში მაღალი ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ სექტორებში: ვაჭრობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ოპერაციები უძრავი ქონებით, მომსახურების გაწევა, ტრანსპორტი და საფინანსო საქმიანობა.



ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა

2018 წლის პირველი სამი კვარტალის ეკონომიკურ ზრდაში ძირითადი წვლილი ინვესტიციებმა და მარაგების ცვლილებამ შეიტანა. წმინდა ექსპორტის წილი 2018 წლის პირველ ნახევარში უარყოფითი იყო 2017 წლისგან განსხვავებით, რაც გამოწვეული იყო იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდით ექსპორტთან შედარებით. მესამე კვარტალში წმინდა ექსპორტი კვლავ გაუმჯობესდა და დადებითი წვლილი შეიტანა ზრდაში. საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ კვლავ წმინდა ექსპორტი იქნება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი. ასევე, მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღება ვაჭრობით იყოს გამოწვეული. ზრდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ინვესტიციები. ამასთან, განხორციელებული რეფორმები ორიენტირებულია ქვეყანაში დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდაზე.



მშპ ერთ სულ მოსახლეზე

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მზარდი ტემპით ხასიათდება. წინასწარი შეფასებით, 2018 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 11 059 ლარს (4 364 აშშ დოლარი) შეადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით მშპ ერთ სულ მოსახლეზე 11 600 აშშ დოლარს შეადგენს.



ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

ბოლო წლებში, მიუხედავად ეკონომიკური აქტივობის შენელებისა, საქართველოს ეკონომიკური ზრდა პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალი იყო. საქართველომ აჩვენა მნიშვნელოვანი მდგრადობა 2014-2016 წლებში რეგიონში არსებული ზრდის შენელების ფონზე. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 3.4 პროცენტით იზრდებოდა (4.6 პროცენტი 2014 წელს, 2.9 პროცენტი 2015 წელს და 2.8 პროცენტი 2016 წელს), მაშინ, როცა მეზობელ ქვეყნებში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. საგარეო შოკების მიმართ მაკროეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულმა რეაქციამ საქართველოს ეკონომიკა რეგიონში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია.



საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველო შეინარჩუნებს მოწინავე პოზიციას რეგიონში საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის კუთხით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის საშუალოვადიანი პროგნოზი 2018-2023 წლებში 5.2 პროცენტს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონში ქვეყნების ზრდას.



ფასების დონე

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. 2018 წლისთვის, აქციზის გადასახადის ეფექტის ამოწურვის შემდეგ ინფლაციის დონემ დასტაბილურება დაიწყო და მიზნობრივი 3 პროცენტის გარშემო მერყეობდა. 2019 წლის თებერვლის მონაცემებით, ინფლაციის დონემ 2.3 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც მიზნობრივ ინფლაციაზე დაბალია. საბაზო[1] ინფლაცია კი შესაბამის პერიოდში 1.3 პროცენტზე დაფიქსირდა.

2018 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.6 პროცენტი შეადგინა, რაც არსებულ 3 პროცენტიან მიზნობრივ დონეზე ნაკლებია. რაც შეეხება 2017 წელს, წლიური ინფლაცია 6.0 პროცენტს შეადგენდა, რაც მიზნობრივ 4 პროცენტიან მაჩვენებელზე მაღალია. თუმცა, მიზნობრივიდან აღნიშნული გადახრა მომდინარეობდა ერთჯერადი ფაქტორებიდან, რაც დაკავშირებული იყო 2017 წელს განხორციელებული ფისკალური რეფორმის შედეგად აქციზის გადასახადის ცვლილებასთან (თამბაქოზე, საწვავსა და ავტომობილებზე). საბაზო ინფლაცია მთელი წლის განმავლობაში მიზნობრივის გარშემო მერყეობდა.

აქციზის განაკვეთის ცვლილების ეფექტი ასევე ასახული იქნება 2019 წლის ინფლაციაზე. თამბაქოს ფასის ცვლილების ეფექტი 2019 წლის თებერვლის ინფლაციაში 0.5 პუნქტს შეადგენს.





[1] არასასურსათო ინფლაცია, ენერგომატარებლების გარეშე



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე 2019 წლის თებერვალში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე[2]:

- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 16.1 პროცენტით, რაც 1.06 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები მომატებულია თამბაქოს ნაწარმზე (32.7 პროცენტი);
- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.9 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.9 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: თევზეული (12.5 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (10.2 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (7.6 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4.3 პროცენტი), ასევე მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (2.5 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (-23.6 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-3.4 პროცენტი);
- ჯანმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 3.4 პროცენტით, რაც 0.29 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (4.8 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (4.1 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (1.4 პროცენტი);
- ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 2.0 პროცენტიანი მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.25 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3.4 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (1.2 პროცენტი).

[2] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



2019 წლის თებერვლის ინფლაციის დეკომპოზიცია ადგილობრივი და იმპორტირებული ინფლაციების მიხედვით შემდეგნაირია: ადგილობრივი ინფლაცია - 1.4 პროცენტი, იმპორტირებული ინფლაცია - 0.6 პროცენტი, ხოლო შერეული - 0.3 პროცენტი.



რაც შეეხება სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსს (PPI), 2019 წლის იანვარში 2.3 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და ძირითადად გამოწვეულია დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასების გაზრდით. 2018 წელს საშუალოწლიური სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 6.2 პროცენტზე დაფიქსირდა.



წლიური ინდექსის ფორმირებაზე 2019 წლის იანვარში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფზე:

- დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია: ფასები გაიზარდა 3.1 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 2.43 პროცენტული პუნქტით იმოქმედა. ფასების ზრდა დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (4.9 პროცენტი), ასევე ცელულოზაზე, ქაღალდსა და ქაღალდის ნაწარმზე (14.3 პროცენტი). პარალელურად, ფასები შემცირდა მერქანსა და მერქნის ნაწარმზე (-14.1 პროცენტი);
- ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი: დაფიქსირდა ფასების 1.4 პროცენტიანი ზრდა, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე 0.19 პროცენტული პუნქტით აისახა;
- სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია: დაფიქსირდა ფასების 4.2 პროცენტიანი კლება, რამაც 0.28 პროცენტული პუნქტით შეამცირა მთლიანი ინდექსის წლიური ცვლილება. ჯგუფში აღსანიშნავია ფასების შემცირება ლითონის მადნებზე და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქციაზე (-4.9 პროცენტი).

ბიზნეს სექტორი

კერძო სექტორს ისტორიულად წარმმართველი როლი უჭირავს ეკონომიკურ ზრდაში და აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2018 წელსაც.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წელს, გასული წელთან შედარებით, 19.2%-ით გაიზარდა. პროდუქციის გამოშვება 7.1%-ით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 3.7%-ით (ანუ 24,457-ით), სულ დასაქმებულთა რაოდენობამ 684,517 ადამიანი შეადგინა.



უმუშევრობის დონე

2018 წლისთვის უმუშევრობის დონემ 12.7 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს წარმოადგენს. 2017 წელს უმუშევრობა 13.9 პროცენტზე იყო დაფიქსირებული.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს მოსახლეობის აღწერის შედეგად შეიცვალა მოსახლეობის რაოდენობა კლების მიმართულებით. გადაანგარიშდა სამუშაო ძალის მაჩვენებლებიც, რამაც ცვლილება გამოიწვია ასევე უმუშევრობის დონეში. გადაანგარიშებით მიღებული უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, თუმცა ტენდენცია მაინც იგივეა და 2017-2018 წლებში შეინიშნება უმუშევრობის კლება.

2017 წლის მდგომარეობით, უმუშევრობის დონე 13.9 პროცენტს შეადგენდა. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 22.8 პროცენტს, ხოლო სოფლად - 5.1 პროცენტს. უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა.



საგარეო სექტორი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის მოწყვლადობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რეფორმები დანაზოგების წასახალისებლად,

მწარმოებლურობისა და ექსპორტის ზრდისთვის და დანაზოგები-ინვესტიციების „გეპ“-ის თანდათანობით დასახურად, რაც დაბალანსებულ მიმდინარე ანგარიშს გულისხმობს.

2017 წელს დაწყებული მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების ტენდენცია 2018 წელსაც შენარჩუნდა: 2018 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 11.8 პროცენტი შეადგინა, მეორე კვარტალში - 8.8 პროცენტი, ხოლო მესამე კვარტალში დაფიქსირდა მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი 0.3 პროცენტზე, რაც ისტორიულად საუკეთესო მაჩვენებელია. აღნიშნული გაუმჯობესება გამოწვეულია მომსახურების ბალანსის დადებითი სალდოს მნიშვნელოვანი ზრდით. 2018 წლის მიმდინარე ანგარიშის წლიური დეფიციტი 7.5 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი.



მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში დეფიციტის გაუმჯობესება გამოწვეულია დანაზოგების ზრდით, რასაც ხელი შეუწყო 2017 წლიდან ამოქმედებულმა მოგების გადასახადის რეფორმამ. რეფორმის ფარგლებში, რეინვესტირებული მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადით დაბეგვრისგან.



მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში გაუმჯობესებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2018 წლის მესამე კვარტალში, ადგილი

ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის დადებით სალდოს 0.3 პროცენტის ოდენობით, ხოლო დეფიციტის დაფინანსების კუთხით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 6.3 პროცენტიანი წვლილი შეიტანა, ხოლო ვალის დაფინანსების საჭიროების არ არსებობის გამო ვალის წილმა დაფინანსებაში უარყოფითი მაჩვენებელი, - 6.6 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ბოლო წლების მანძილზე.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები



საგარეო ვალი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

2018 წლის მესამე კვარტალში მთლიანი საგარეო ვალი შემცირდა და მთლიანი შიდა პროდუქტის 107 პროცენტი შეადგინა, პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 114 პროცენტი იყო, მეორე კვარტალში კი - 109 პროცენტი. შემცირება ძირითადად გამოწვეულია სამთავრობო სექტორის ვალის შემცირებითა და კომპანიათაშორისი სესხების კლებით.

საგარეო ვალი



საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას.

ვალის ცვლილება (მშპ-ს %)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2018 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მშპ-ს 8.8 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 8.2 პროცენტის ტოლია, მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-სთან 9.4 პროცენტი იყო, ხოლო მესამე კვარტალში - 8.2 პროცენტი. მეოთხე კვარტალში ყველაზე დიდი მოცულობით ინვესტიციები განხორციელდა საფინანსო სფეროში - 42.7 პროცენტი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 10.7 პროცენტი და დამამუშავებელ მრეწველობაში - 10.4 პროცენტი. ხოლო 2018 წელს მთლიანად ინვესტიციები დიდი მოცულობით განხორციელდა საფინანსო სექტორში - 22.5 პროცენტი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 14.2 პროცენტი და ენერგეტიკაში - 12.8 პროცენტი.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება, რაც სტაბილურად მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტის გარშემოა. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია ინვესტიციები, რის ძირითად მიზეზსაც წარმოადგენს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულების ფაზა, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება. 2018 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 345 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მთლიან შიდა პროდუქტთან 8.2 პროცენტია. მეოთხე კვარტალში კი პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 197 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,232 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო პერიოდში განხორციელებულ ინვესტიციებზე ნაკლებია.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი 2017 წლის განმავლობაში ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 25.8 პროცენტი შეადგინა, საფინანსო სექტორში - 16.0 პროცენტი, მშენებლობაში - 14.9 პროცენტი, ენერგეტიკაში - 11.8 პროცენტი, უძრავ ქონებაში - 9.6 პროცენტი, დამამუშავებელ მრეწველობაში - 5.2 პროცენტი, სასტუმროებსა და რესტორნებში - 3.8 პროცენტი, ხოლო სამთომოპოვებით მრეწველობაში - 2.7 პროცენტი.

აღსანიშნავია FDI-ს დივერსიფიკაციის ზრდა ახალ სექტორებში ინვესტირებით. მაგალითად, 2015 წელს დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვაში განხორციელებული ინვესტიციების მკვეთრი ზრდა წინა წლებთან შედარებით. 2016 წელს კი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია ინვესტიცია კავშირგაბმულობის სექტორში, სადაც განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 3.8 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება 2017 წელს, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ინვესტიციები საფინანსო და სამშენებლო სექტორში. საფინანსო სექტორში ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 16.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო სამშენებლო სექტორში განხორციელებული ინვესტიციები FDI-ის 14.9 პროცენტი იყო. იგივე ტენდენცია გამოიკვეთა 2018 წლის დასაწყისშიც, თუმცა მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციები ენერგეტიკის სექტორში, რამაც ამ პერიოდში მთლიანი FDI-ის 28.0 პროცენტი შეადგინა, 2018 წლის პირველ სამ კვარტალში განხორციელებული ინვესტიციების 19.7 პროცენტი საფინანსო სექტორში განხორციელდა, 17.3 პროცენტი - ტრანსპორტის სექტორში, ხოლო 15.4 პროცენტი - ენერგეტიკის სექტორში.

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სამეულში 2018 წლისთვის პირველ ადგილზე კვლავ აზერბაიჯანია 19.5 პროცენტით, მეორე ადგილზე - გაერთიანებული სამეფო 16.5 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილი ნიდერლანდებს უკავია და განხორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 13.6 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციები 2017 წელთან შედარებით 40.5 პროცენტიდან 46.2 პროცენტამდე არის გაზრდილი.

მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს რეინვესტირებაში დაფიქსირდა უმაღლესი მაჩვენებელი და შეადგინა FDI-ის 32 პროცენტი, ხოლო 2017 წელს 43.9%, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტირების მაღალი დონის შენარჩუნებისა და საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა. რეინვესტირების მზარდი ტემპი მოგების გადასახადის რეფორმას, ე.წ ესტონური მოდელის შემოღებას უკავშირდება, რომელიც გულისხმობს, რომ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება.



საგარეო ვაჭრობა

2019 წლის იანვარში ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 7.2 პროცენტით, ხოლო იმპორტი შემცირებულია 0.4 პროცენტით და სავაჭრო ბალანსიც გაუმჯობესდა. თებერვალში კი ექსპორტის ზრდამ 19.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო იმპორტი მხოლოდ 0.6 პროცენტით არის გაზრდილი. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რეგიონში ეკონომიკის გაჯანსაღება კარგად აისახა საქართველოს ექსპორტზე.

2018 წელს ექსპორტი გაზრდილია 22.6%-ით, ხოლო იმპორტის ზრდამ 14.9% შეადგინა და შედეგად სავაჭრო ბალანსი 560 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა. რაც შეეხება 2018 წლის მეოთხე კვარტალს, ექსპორტი 16.0 პროცენტით გაიზარდა, იმპორტის ზრდამ კი 4.2 პროცენტი შეადგინა და, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მეოთხე კვარტალში სავაჭრო ბალანსი 24 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა.



ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებისას მნიშვნელოვანია რეალური ზრდისა და ფასისმიერი ეფექტის გამოყოფა, რათა ზუსტად გაანალიზდეს რეალური ცვლილება რამდენი იყო. 2018 წლის მეორე ნახევარში გაუმჯობესებულია ექსპორტის რეალური ზრდა, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია, რომ სექტემბრიდან ექსპორტის ცვლილების ფასისმიერი ეფექტი უარყოფითი იყო, რაც რეალური ექსპორტის ცვლილების ნომინალური ექსპორტის ცვლილებაზე უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. 2019 წლის იანვარში ექსპორტის რეალურმა ზრდამ 24.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ნომინალურმა ზრდამ მხოლოდ 7.2 პროცენტი შეადგინა.



რაც შეეხება იმპორტს, მის ნომინალურ ზრდაში მნიშვნელოვანი წილი ფასისმიერ ზრდას უკავია. 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში შემცირებულია რეალური იმპორტი, 2019 წლის იანვარში კი რეალურმა ზრდამ გადააჭარბა იმპორტის ნომინალურ ცვლილებას.



ჯამურად, 2018 წელს ექსპორტი გაზრდილია 22.6 პროცენტით, ხოლო იმპორტის ზრდამ 14.9 პროცენტი შეადგინა, საიდანაც 11.2 პროცენტი გამოწვეული იყო კაპიტალისა და შუალედური საქონლის იმპორტის ზრდით. გასულ წლებთან შედარებით გაზრდილია საინვესტიციო საქონლის იმპორტი.



2018 წლის ექსპორტის ზრდაში შემდეგი პროდუქტების ექსპორტის ზრდამ შეიტანა წვლილი: მსუბუქი ავტომობილები (წვლილი ზრდაში 6.4 პროცენტული პუნქტი), სიგარები (წვლილი ზრდაში 3.9 პროცენტული პუნქტი), სპილენძის მადნები (წვლილი ზრდაში 3.0 პროცენტული პუნქტი), ფეროშენადნობები (წვლილი ზრდაში 1.7 პროცენტული პუნქტი), ღვინო (წვლილი ზრდაში 0.9 პროცენტული პუნქტი).



ტურიზმი

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2019 წლის თებერვალში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 444 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის თებერვალთან შედარებით 0.8 პროცენტით მეტია. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებაში დადებითი წვლილი შეიტანა ტურისტულმა ვიზიტმა, ტურისტების რაოდენობა 5.1 პროცენტით არის გაზრდილი, ხოლო ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობა 10.7 პროცენტით შემცირდა. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 4.6 პროცენტით გაიზარდა და 169 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ვიზიტორების რაოდენობის მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა 2018 წელი. ჯამურად, 2018 წელს საქართველოში 8 326 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, რაც 10.2 პროცენტით მეტია 2017 წლის იგივე პერიოდზე, ხოლო

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 3 222 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 19.1 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს.



ფულადი გზავნილები

2019 წლის იანვარში საქართველოში შემოსულმა წმინდა ფულადმა გზავნილებმა 100.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის იანვართან შედარებით 5.4 პროცენტით მაღალია. გზავნილები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იტალიიდან (4.0 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში) და აშშ-დან (1.7 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში), შემცირებულია რუსეთიდან (-3.4 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში) და თურქეთიდან (-2.6 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).

ფულადი გზავნილების ზრდა მნიშვნელოვანი იყო 2018 წელსაც. იანვრის თვეში ზრდამ 31.8 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო წლებში დაფიქსირებული ერთ-ერთი მაქსიმუმია, შემდგომ თვეებში კი ზრდა 14-20 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. სექტემბრიდან ფულადი გზავნილები უფრო დაბალი ტემპით იზრდება, რაც გასული წლის ბოლოს გზავნილების ჩარიცხვის მაღალი მოცულობით არის გამოწვეული.



საერთო ჯამში, 2018 წელს, უცხოური ვალუტის შემოდინება საქონლის ექსპორტის, ტურიზმისა და გზავნილების გზით გაზრდილია 1 301 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო იმპორტისთვის თანხების გადინება გაიზარდა 1 183 მილიონი აშშ დოლარით. შედეგად კი 2018 წელს მიმდინარე ანგარიშზე დადებითი გავლენა შეინიშნა 118 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო შოკების ამოწურვის შედეგად ბოლო წლებში ფულადი გზავნილები გაიზარდა, გრძელვადიან პერიოდში ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება წლიდან წლამდე მცირდება, რაც ექსპორტისა და ტურიზმის სწრაფი განვითარებით აიხსნება.



სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველოს მჭიდრო დამოკიდებულება აქვს რუსეთთან, თურქეთთან, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებთან.

2018 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემების მიხედვით, რუსეთზე მთლიანი დამოკიდებულება უცვლელია, თურქეთზე - შემცირებული, ხოლო უკრაინასა და ევროკავშირთან შეიმჩნევა დამოკიდებულების ზრდა. ასევე აღსანიშნავია ქვეყნებზე დამოკიდებულების კომპოზიციის ცვლილება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შეიმჩნევა ტრანსფერების წილის შემცირება, ხოლო ტურიზმის წილის ზრდა რუსეთთან, თურქეთსა და უკრაინასთან. რაც შეეხება ექსპორტს, მის წილს მზარდი ტემპი აქვს რუსეთსა და უკრაინასთან, და თითქმის უცვლელია თურქეთსა და ევროკავშირის ქვეყნებთან.









გაცვლითი კურსი

19 მარტის მდგომარეობით, 2019 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.0 პროცენტით არის გამყარებული. გასული წლის 1 იანვართან შედარებით კი - 7.1 პროცენტიანი გამყარება დაფიქსირდა. რაც შეეხება რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს, იგი 4.0 პროცენტით არის გამყარებული წინა წლის იანვართან შედარებით.

ლარის ნომინალური ეფექტური კურსი საშუალოვადიანი ტრენდიდან 1.7 პროცენტით არის გაუფასურებული.

	19 მარტი, 2019	19 მარ 2019 - 1 იან 2019		19 მარ 2019 - 1 იან 2018	
ევრო	3.0458	▲	0.5%	▲	1.9%
აშშ დოლარი	2.6840	▼	-0.4%	▼	-3.4%
თურქული ლირა	0.4912	▲	2.9%	▲	39.9%
რუსული რუბლი	0.0416	▼	-7.7%	▲	8.0%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	126.49	▼	-1.0%	▲	7.1%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (თებერვალი, 2019)	120.27	▲	0.5%	▲	4.0%



ფისკალური სექტორი

2018 წლის ბიუჯეტი

2018 წელს ბიუჯეტის ფაქტიური შემოსავლების მობილიზება 903.8 მლნ ლარით აღემატება 2017 წლის შესაბამის პერიოდს, რაც 8.3 პროცენტს შეადგენს. ხოლო წლის გეგმიური მაჩვენებელი შესრულდა 101.0 პროცენტით და გადაჭარბებამ 122.7 მლნ ლარი შეადგინა. შემოსავლების გადაჭარბებით მიღებული დამატებითი შემოსავალი სრულად დანაზოგებში წავა და მიმართული იქნება დღგ-ს ზედმეტობების დაბრუნებაზე, ფისკალური ბუფერების გაძლიერებასა და დეფიციტის შემცირებაზე. 2018 წელს დაბრუნდა 521 მლნ ლარის დღგ-ს ზედმეტობა, რაც უპრეცენდენტო მაჩვენებელია და 200 მლნ-ით აღემატება წინა წლების მაჩვენებელს.

2018 წელს ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 10 506.3 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.4 პროცენტით (727.4 მლნ ლარი) მეტია. 2018 წლის გადასახადების დაგეგმილი მაჩვენებელი 10 500.0 მილიონ ლარს შეადგენს. ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 0.1 პროცენტით მეტია, რაც 6.3 მლნ ლარს შეადგენს.

ბიუჯეტის დეფიციტი დაღმავალ ტრენდს ინარჩუნებს. 2018 წლის ბიუჯეტის დეფიციტი, წინასწარი მონაცემებით, შეადგენს 2.5 პროცენტს, რაც 0.3 პუნქტით ნაკლებია აღნიშნული პერიოდის დაგეგმილ დეფიციტზე.

2019 წლის ბიუჯეტის აღწერა

2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12 578.0 მლნ ლარით. მათ შორის: გადასახადები - 11 280.0 მლნ ლარი; გრანტები - 448.0 მლნ ლარი; სხვა შემოსავლები - 850.0 მლ ლარი.

2019 წლის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები გაანგარიშებულია ეკონომიკური ზრდის 4.5 პროცენტისა და ინფლაციის 3.5 პროცენტიანი მაჩვენებლების გათვალისწინებით. აგრეთვე, გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული კანონმდებლობაში შეტანილი

ცვლილებები, საგადასახადო ბაზის ცვლილება, ადმინისტრირების გაუმჯობესება და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. კერძოდ:

- საპენსიო რეფორმის შემოღება (-70.0 მლნ ლარი);
- მცირე ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლა (-25.0 მლნ ლარი);
- სსიპების და სხვა ორგანიზაციების ესტონურ მოდელზე გადაყვანა (-30.0 მლნ ლარი);
- BP მიერ გადასახდელი თანხა (140.0 მლნ ლარი);
- ოქროს სიის გაუქმება (100.0 მლნ ლარი);
- თამბაქოს აქციზის განაკვეთის გათანაბრება ადგილობრივ და იმპორტულ თამბაქოზე, აგრეთვე - იმპორტულ თამბაქოზე ადვალური გადასახადის გაზრდა 10 პროცენტიდან 30 პროცენტამდე (70.0-80.0 მლნ ლარი).

2019 წლის ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილია 2.6 პროცენტის დონეზე, რაც 0.1 პუნქტით აღემატება 2018 წლის ფაქტობრივ დეფიციტს.





უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯები მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო მიმდინარე ხარჯები - კლებადით. 2019 წელს დაგეგმილია კაპიტალური ხარჯების 8 პროცენტამდე გაზრდა, ხოლო მიმდინარე ხარჯების 23 პროცენტიან დონეზე შენარჩუნება. ასევე, აღსანიშნავია, რომ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები 3.9 პროცენტზეა დაგეგმილი, ხოლო 2018 წელს აღნიშნული შეადგენდა 4.1 პროცენტს.

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

2019 წლის იანვარ-თებერვლის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი 1 586.0 მლნ ლარს შეადგენს, 2019 წლის იანვარ-თებერვლის ფაქტიური მაჩვენებელი დაგეგმილზე 4.3 პროცენტით მეტია, რაც 68.7 მლნ ლარს შეადგენს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 564.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (559.0 მლნ ლარი) 100.9%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 97.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (83.0 მლნ ლარი) 117.6%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 793.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (774.0 მლნ ლარი) 102.5%-ია.

- აქციზის სახით მობილიზებულია 222.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (198.0 მლნ ლარი) 112.3%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 10.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14.0 მლნ ლარი) 72.7%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 2.7 მლნ ლარი.
- სხვა გადასახადი შეადგენს -35.6 მლნ ლარს.

დღგ-ს ავტომატური დაბრუნების სისტემა

2019 წლის თებერვლიდან, გადასახადის გადამხდელებს საშუალება ეძლევათ დღგ-ის დეკლარაციის საფუძველზე წარმოშობილი ზედმეტობა ავტომატურ რეჟიმში დაიბრუნონ. დღგ-ის ავტომატური დაბრუნება ითვალისწინებს დღგ-ის გადასახადისგან წარმოქმნილი ზედმეტობის ახალი და გამარტივებული სისტემით დაბრუნებას დეკლარაციის ჩაბარებისთანავე.

ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ, 2019 წლის იანვრისა და შემდგომი საანგარიშო პერიოდების დეკლარაციების შეფასება, ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით მოხდება.

დაბალი რისკის დეკლარაციები, რომელთა რაოდენობა წარმოდგენილი დეკლარაციების არანაკლებ 90 პროცენტი იქნება, ყოველთვიურად აისახება დღგ-ის დაბრუნების ბარათზე. ხოლო მაღალი რისკის დეკლარაციები, რომელთა რაოდენობა არ აღემატება თვის მანძილზე წარმოდგენილი დეკლარაციების 10 პროცენტს, ხელით შესწავლის რეჟიმში გადავა. შესწავლის შემდეგ შესაძლებელია დეკლარაციით დასარიცხი თანხების კორექტირება ან დეკლარირებული მონაცემების შეუცვლელად ასახვა ,,დღგ-ის დაბრუნების“ ბარათზე.

მოთხოვნილი თანხა დაბრუნდება მეწარმის მიერ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პორტალზე (გადამხდელის პირად გვერდზე) შესაბამის ღილაკზე დაჭერით. პროცესი სრულად ეფუძნება მოწინავე საგადასახადო ორგანოთა თანამედროვე გამოცდილებას და ეყრდნობა რისკზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების ფარგლებში, გადამხდელებს დაუბრუნდათ 521 მილიონი ლარი.

მთავრობის ვალი

- მთავრობის ვალმა 2018 წლის ბოლოსთვის შეადგინა მშპ-ს 42.1 პროცენტი (აქედან საგარეო ვალი იყო 34.2 პროცენტი), ხოლო 2017 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი იყო 42.4 პროცენტი (საგარეო ვალი - 34.9 პროცენტი), 2016 წლის ბოლოსთვის - 42.4 პროცენტი (საგარეო ვალი - 35.1 პროცენტი) და 2015 წლის ბოლოსთვის - 39.2 პროცენტი (საგარეო ვალი - 32.4 პროცენტი);
- ვალის ზრდა 2015 და 2016 წლებში ძირითადად გამოწვეული იყო გაცვლითი კურსის ცვლილებით;
- საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის ვალი მშპ-სთან მიმართებაში 40 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნდება.

ამასთანავე, კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ერთად გაიზრდება სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს საგარეო დაფინანსების საჭიროების შემცირებას და მთლიან ვალში საშინაო ვალის წილის ზრდას.

მონეტარული სექტორი

კერძო სექტორის დოლარიზაცია

სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია. მთლიანი სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციით. 2019 წლის თებერვლისთვის, ფიზიკურ

პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 54.6 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 28.7 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ლარიზაციამ 43.7 პროცენტი.



რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური ასევე სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2019 წლის თებერვლისთვის სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 85.2 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია 2019 წლის იანვრისთვის - 28.6 პროცენტს.



დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2019 წლის თებერვლისთვის მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 36.8 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია ამავე პერიოდში 49.7 პროცენტს გაუტოლდა, ფიზიკური პირების კი 24.7 პროცენტს.



მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 2019 წლის თებერვლისთვის 45.7 პროცენტია, მოთხოვნამდე დეპოზიტების 34.8 პროცენტი, ხოლო ვადიანი დეპოზიტების 32.8 პროცენტი.



სესხების მიმოხილვა

საკრედიტო პორტფელის ზრდამ 2019 წლის თებერვალში 2018 წლის თებერვალთან შედარებით 20.6 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წინა თვესთან შედარებით იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 4.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მისი მნიშვნელობა 2019 წლის თებერვლისთვის 22.7 პროცენტს გაუტოლდა, იმავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 19.4 პროცენტს შეადგენს. დარგების ჭრილში სესხების ზრდა დიდწილად ვაჭრობის, სასტუმროებისა და რესტორნების, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მაღალი ზრდით იყო განპირობებული, უმნიშვნელო გავლენა იქონია სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერასა და განათლებაში არსებულმა ზრდამ.



2019 წლის თებერვალში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.8 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით 3.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 22.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო მთლიანმა საკრედიტო პორტფელის ზრდამ 20.6 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია 2018 წლიდან სესხების ზრდაში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წვლილი იზრდება.



2019 წლის იანვრისთვის იპოთეკური სესხების ზრდამ 24.6 პროცენტი შეადგინა 2018 წლის შესაბამის თვესთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან იპოთეკური სესხების ზრდაში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წვლილი იზრდება.



რას შეეხება სამომხმარებლო სესხების ზრდას, 2019 წლის თებერვლისთვის მისი მნიშვნელობა 3.2 პროცენტს გაუტოლდა. 2017 წლიდან სამომხმარებლო სესხების ზრდას მნიშვნელოვნად განაპირობებს ლარში დენომინირებული სამომხმარებლო სესხების ზრდა.



დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2019 წლის თებერვალში 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.6 პროცენტს შეადგენს, ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა წინა პერიოდთან შედარებით 1.6 პროცენტით შემცირდა და 20 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა - 13.2 პროცენტს.



2018 წლის დეკემბერთან შედარებით იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა 2019 წლის თებერვალში 12.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, 15.5 პროცენტი შეადგინა და ფიზიკური პირების დეპოზიტების წლიურ ზრდას გაუტოლდა.



მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.50 პროცენტზეა. 2019 წლის 30 იანვრის მონეტარული კომიტეტის სხდომაზე განაკვეთი ჯერ 7.0 პროცენტიდან შეამცირეს 25 საბაზისო პუნქტით, ხოლო 13 მარტს კიდევ შეამცირეს 25 საბაზისო პუნქტით. შემცირების გადაწყვეტილების ძირითად მიზეზად დასახელდა საგარეო რისკების შენელება და ერთობლივი მოთხოვნიდან არსებული ინფლაციური წნეხის შესუსტება. შესაბამისად, ეროვნული ბანკი ახორციელებს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივ გამოსვლას. განაკვეთის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება მოთხოვნის პოტენციური დონიდან ჩამორჩენის აღმოფხვრის სისწრაფესა და საგარეო სექტორიდან მომდინარე რისკების სიძლიერეზე.

2017 წელს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა სამჯერ გაზარდა პოლიტიკის განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით, რაც აიხსნება აქციზის ზრდისა და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუარესების ინფლაციაზე გავლენით. კომიტეტის განცხადებით, ნავთობის საერთაშორისო ფასების ზრდასთან ერთად, გაზრდილია ინფლაციური მოლოდინები და ეკონომიკური აქტივობის მოსალოდნელზე მეტად გაუმჯობესება ასუსტებს მოთხოვნის მხრიდან ინფლაციის შემცირების შესაძლებლობას, რამაც გამოიწვია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა. არსებული ფაქტორების განეიტრალების შემდეგ, 2018 წლის დასაწყისიდან მოსალოდნელი იყო ინფლაციის მაჩვენებლის შემცირება, რაც გამართლდა კიდეც.

2018 წლის იანვრიდან მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა განაკვეთი უცვლელად, 7.25 პროცენტზე დატოვა, რის მთავარ მიზეზად დაასახელა ბოლო პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარების ტენდენცია და ერთობლივი მოთხოვნის პოტენციურ დონეზე ქვემოთ არსებობა, რაც ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით მოქმედებს.

25 ივლისის მონეტარული კომიტეტის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით, 7.0 პროცენტამდე შეამცირეს. შემცირების გადაწყვეტილების ძირითად მიზეზად დასახელდა ინფლაციის შემცირება და მისი მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს ყოფნა, ასევე, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მოსალოდნელზე სწრაფი გამყარება, რაც ამცირებს ინფლაციურ ზეწოლას. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მოსალოდნელზე ნელი ტემპით შერბილება კი გამოწვეული იქნება ერთობლივი მოთხოვნის გაუმჯობესებითა და პროგნოზირებულთან შედარებით მისი პოტენციურ დონეზე უფრო სწრაფი დაახლოებით, რაც არბილებს ინფლაციის შემცირების წნეხს.

ამ ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.5 პროცენტამდეა შემცირებული.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



საპროცენტო განაკვეთები

2019 წლის იანვართან შედარებით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი უმნიშვნელოდ შეიცვალა და 2019 წლის თებერვლისთვის 2.7 პროცენტი შეადგინა, რაც შეეხება ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთს, წინა თვესთან შედარებით მისი მნიშვნელობა 0.3 პროცენტით გაიზარდა და 7.5 პროცენტს გაუტოლდა.



2019 წლის თებერვლისთვის ეროვნული ვალუტით განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტების ნაშთებზე საპროცენტო განაკვეთი 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა 2019 წლის იანვართან შედარებით და 4.3 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში საპროცენტო განაკვეთი მიმდინარე ანგარიშებზე 8 პროცენტს შეადგენს, ხოლო ვადიან დეპოზიტებზე - 9.1 პროცენტს.



2019 წლის თებერვლისთვის იურიდიული პირები მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.5 პროცენტი შეადგენა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე იმავე პერიოდში - 2.6 პროცენტი. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიურ შეწონილ საპროცენტო განაკვეთებს იმავე პერიოდისთვის, ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე მისი მნიშვნელობა 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით და 7.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - 2.8 პროცენტს.





2019 წლის თებერვლისთვის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 2019 წლის იანვართან შედარებით მნიშვნელოვნად, 6.7 პროცენტული პუნქტით, შემცირდა და 13.4 პროცენტი შეადგინა, რაც განპირობებული იყო ეროვნული ვალუტით დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის აგრეთვე დიდი, 7.6 პროცენტული პუნქტით, შემცირებით. ამ პერიოდისთვის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით დენომინირებულ მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 18.9 პროცენტს გაუტოლდა ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე - 6.2 პროცენტს.



რაც შეეხება გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებს, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს, მისი მნიშვნელობა 2019 წლის თებერვლისთვის, 16.4 პროცენტს გაუტოლდა, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხებზე საპროცენტო განაკვეთი იმავე პერიოდში 17.5 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულლ სესხებზე 9.9 პროცენტს.



იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2019 წლის იანვრის ბოლოს 11.9 პროცენტს შეადგენდა, იმავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე - 8.3 პროცენტს.



იმავე პერიოდში ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 13.8 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.3 პროცენტს.



სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი

2019 წლის თებერვალში ჩატარდა 4 აუქციონი ჯამური ემისიით 130 მლნ ლარი, რომლის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.021% შეადგინა.

გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 60 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები:

	6M	12M	2Y	5Y	სულ
ემისიის მოცულობა	20	40	40	30	**130**
საშუალო შეწონილი განაკვეთი	6.757	6.890	7.032	7.356	**7.021**
დაფარვა	20	40	0	0	**60**
სხვაობა	0	0	40	30	**70**

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ მცირე ცვლილება განიცადა:





პორტფელის შემოსავლიანობა მთლიანობაში თითქმის არ შეცვლილა.



პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ჯამური საშუალო შეწონილი ვადიანობა (ATM) მცირედით შემცირდა წინა თვესთან შედარებით.

ფასიანი ქაღალდების დაფარვამდე დარჩენილი საშუალო შეწონილი ვადიანობა (წელი)			
	31.12.2018	31.01.2019	28.02.2019
6 თვე	0.24	0.24	0.25
12 თვე	0.47	0.47	0.47
2 წელი	0.87	0.97	0.94
5 წელი	2.75	2.80	2.77
10 წელი	6.63	6.71	7.10
სულ	**2.19**	**2.32**	**2.30**

2019 წლის 28 თებერვლისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მეხუთედზე ნაკლები ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება უახლოესი 6 თვის განმავლობაში. პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების გადანაწილება დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით შემდეგია:



მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (იანვარი 1.92) შედარებით გაიზარდა და 2.00 შეადგინა.





*- თუ მოცემულ თვეში არ განხორციელებულა კონკრეტული ვადის ემისია, გრაფიკზე გამოსახული იქნება წინა პერიოდის შედეგები.

რეიტინგები

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან Standard & Poor's, Fitch და Moody's. ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურ რეიტინგს. 2019 წლის შეფასების მიხედვით, Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB-" პოზიტიურიდან „BB" სტაბილურამდე გაზარდა. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებული იყო „BB" ჯგუფის ქვეყნებთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდითა და დაბალი სახელმწიფო ვალით; ასევე, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით, და ფისკალური მდგრადობით.

რაც შეეხება სხვა რეიტინგებს, ამჟამად საქართველოს Standard & Poor's-თან „BB-" სტაბილური, ხოლო Moody's-თან „Ba2" სტაბილური რეიტინგი აქვს. რეგიონის ქვეყნებში შეინიშნებოდა საკრედიტო რეიტინგების გაუარესება, 2017 წლის ბოლოდან მეზობელი ქვეყნების საკრედიტო რეიტინგებმაც დაიწყო გაუმჯობესება, თუმცა 2018 წელს მნიშვნელოვნად გაუარესდა თურქეთის რეიტინგი.

S&P და Fitch-მა დაადასტურა აზერბაიჯანის საკრედიტო რეიტინგი „BB+" ნეგატიურ დონეზე, რომელიც „BBB-"-დან შეამცირა 2016 წელს, თუმცა 2018 წლის დასაწყისში ორივე კომპანიამ პერსპექტივა ნეგატიურიდან სტაბილურზე გააუმჯობესა. აზერბაიჯანის საკრედიტო რეიტინგი გააუარესა აგრეთვე Moody's-მაც, 2016 წელს შეამცირა „Baa3"-დან „Ba1"-მდე, ხოლო გასულ წელს „Ba1"-დან „Ba2"-მდე. სარეიტინგო კომპანია Moody's-მა ასევე გააუარესა სომხეთის საკრედიტო რეიტინგიც „Ba3"-დან „B1"-მდე. Fitch-ის შეფასებით კი სომხეთის რეიტინგი „B+" პოზიტიურია.

S&P-ის და Moody's-ის შეფასებით გაუარესდა რუსეთის საკრედიტო რეიტინგიც. 2014 წლის დეკემბერთან შედარებით, რუსეთის საკრედიტო რეიტინგი Moody's-ის შეფასებით გაუარესდა „Baa3" დან „Ba1" მდე, ხოლო S&P-ის შეფასებით „BBB-" დან „BB+" მდე. ამჟამად S&P-ის მიხედვით რუსეთის რეიტინგი კვლავ „BBB-" სტაბილურზეა, ხოლო Fitch-ის მიხედვით, „BBB-" პოზიტიური პერსპექტივით.

Moody's-მა 2016 წლის სექტემბერში შეამცირა თურქეთის საკრედიტო რეიტინგი „Baa3"-დან „Ba1"-მდე, 2017 წლის მარტში თურქეთის საკრედიტო რეიტინგი სტაბილურიდან ნეგატიურით შეცვალა, ხოლო 2018 წელს ჯერ „Ba2"-მდე გააუარესა რეიტინგი, ხოლო შემდეგ - „Ba3"-მდე. 2016 წელს S&P-მა რეიტინგი შეამცირა „BB+"-დან „BB"-

მდე, 2018 წელს კი ჯერ „BB-“-მდე, ხოლო შემდეგ „B+“ სტაბილურამდე. Fitch-მა კი „BBB-“ დან ჯერ „BB+“ მდე შეამცირა, ხოლო შემდეგ „BB“ ნეგატიურამდე.

სარეიტინგო სააგენტოების განცხადებით, საქართველოს რეიტინგის გაუმჯობესება გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ეკონომიკა მდგრადი აღმოჩნდა 2014 წელს რეგიონში დაწყებული ეკონომიკური შოკის მიმართ, რის შედეგადაც გამოჩნდა ქვეყნის ეკონომიკისა და ინსტიტუტების სიძლიერე. მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები კი, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით ხორციელდება, შეამცირებს საქართველოს ძირითად საკრედიტო სისუსტეებს და დროთა განმავლობაში უფრო მეტად გაზრდის საკრედიტო სიძლიერეს. თუმცა, რეიტინგის ზრდას ხელს უშლის საგარეო მოწყვლადობის რისკები.

მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები დადებითად აღიქმება სარეიტინგო სააგენტო Moody's მიერ: „ახალი სანდო რეფორმები უფრო მეტად შეუწყობს ხელს საკრედიტო გაძლიერებას“. სავალუტო ფონდთან გაფორმებულმა 3-წლიანმა პროგრამამ გააუმჯობესა რეფორმების საიმედოობა:

„პროგრამა ხაზს უსვამს სტრუქტურულ რეფორმებს, რაც გამოიწვევს მაღალ და მეტად ინკლუზიურ ზრდას. ძირითადი აქცენტი გაკეთდება განათლების გაუმჯობესებაზე, საგზაო ინფრასტრუქტურის დაფინანსებაზე, მეტად ეფექტიან საჯარო ადმინისტრირებაზე და გაუმჯობესებულ ბიზნეს კლიმატზე, რაც გააძლიერებს კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი სექტორის, როლს.”

სარეიტინგო სააგენტო Moody's დადებით ფაქტორებად ასევე გამოყოფს შემდეგ გარემოებებს: ძლიერი ინსტიტუტები, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, დივერსიფიცირებული საექსპორტო ბაზრები, სავაჭრო შეთანხმებები, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოდ მშპ-ს 10 პროცენტზე შენარჩუნებას უწყობს ხელს და საშუალოვადიან პერიოდში გაზრდის ექსპორტს და დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას.

სააგენტო S&P ქვეყნის დადებით მიმართულებად ასახელებს სტრუქტურულ რეფორმებს, ძლიერ ინსტიტუციურ ჩარჩოს, ეკონომიკურ ზრდას, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებასა და IMF-თან მიმდინარე პროგრამას.

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch-ის განცხადებით, საქართველოს რეიტინგის შეფასებაში დადებითი წვლილი შემდეგ ფაქტორებს შეაქვთ: მაღალი ეკონომიკური ზრდა, მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ფისკალური მდგრადობის გამყარება. Fitch-ის ანგარიშშიც პოზიტიურად არის შეფასებული სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა და აღნიშნულია პროგრამის წარმატებული მიმდინარეობა. სააგენტოს შეფასებით, მიმდინარე პროგრესი მიზნების შესაბამისია და მიზნად ისახავს ფისკალური სექტორის შემდგომ გაუმჯობესებას, რაც გააუმჯობესებს სტრუქტურულ ინდიკატორებს და წაახალისებს ინვესტიციებსა და დანაზოგებს.

დოლარიზაცია და საგარეო მოწყვლადობა კვლავ რჩება ეკონომიკის მთავარ სისუსტედ, თუმცა, ლარიზაციის პროცესი სარეიტინგო კომპანიების მიერ დადებითად არის შეფასებული. დანაზოგების მასტიმულირებელი რეფორმები წახალისებულია სააგენტოების მიერ, ხოლო დანაზოგებისა და ინვესტიციების გეპის შემცირება განიხილება, როგორც რეიტინგის ზრდაზე მოქმედი ფაქტორი. აღსანიშნავია

საერთო ჯამში, საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი გაუმჯობესებულია, ხოლო პერსპექტივა სტაბილურ დონეზეა შენარჩუნებული, რეგიონში გაუარესებული ეკონომიკური გარემოს მიუხედავად, რაც სწორი პოლიტიკის გატარების (მცურავი სავალუტო კურსი, ინფლაციის თარგეთირება, კონტრ-ციკლური ფისკალური პოლიტიკა, საგარეო სავაჭრო ბარიერების მოხსნა და ექსპორტის დივერსიფიცირება, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება), შემცირებული რისკებისა და საშუალოვადიანი პერსპექტივების დამსახურებაა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა

2017 წლის 12 აპრილს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ ფარგლებში საქართველოს დაუმტკიცა პროგრამა 285.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი იზიარებს და მიესალმება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ ახალი პროგრამა არის დაფუძნებული მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმაზე. პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდი იქნება ჩვენი ქვეყნის პარტნიორი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები დამტკიცებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, რაც მიზნად ისახავს მაკროეკონომიკური სტაბილურობის დახმარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

2019 წლის ბიუჯეტი და მთავრობის საშუალოვადიანი საბიუჯეტო გეგმები წარმოადგენს მთავრობის მიერ შემუშავებული ფისკალური პოლიტიკის მიმართულების გაგრძელებას, რაც გულისხმობს:

- ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირებას;
- ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემის შექმნას;
- საბიუჯეტო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდას;
- ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციების გაზრდას.

2017-2020 წლებში ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი იქნება დასრულებული, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ ბოლომდე გამოვიყენოთ ჩვენი ლოგისტიკური და ტურისტული პოტენციალი. ინფრასტრუქტურის განვითარება გაუმჯობესებს რეგიონებს შორის კომუნიკაციას, რაც გაზრდის მათ ჩართვას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

2017-2020 წლების განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური დანახარჯები გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის 5.6 პროცენტიდან 9 პროცენტამდე. ამასობაში, ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდება 26.5 პროცენტიდან 21.7 პროცენტამდე.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა გეგმავს ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. ამ რეფორმებს მიეკუთვნება:

- საპენსიო რეფორმა;
- კაპიტალის ბაზრის რეფორმა;
- დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება;
- საჯარო-კერძო თანამშრომლობის (PPP) სისტემის ჩამოყალიბება;
- გადახდისუუნარობის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა;
- მიწის რეფორმა;
- სადაზღვევო სისტემის რეფორმა;
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები;
- სხვა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ფინანსური სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია დაუბრუნდა საქართველოს ეროვნულ ბანკს.